



# აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:  
[acad.as@gaas.dsl.ge](mailto:acad.as@gaas.dsl.ge)

ვებ-საიტი:  
[www.gaas.dsl.ge](http://www.gaas.dsl.ge)

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51

ტ. 2-91-03-90

*ბევლე აბ უნდა ჰგაეღეს დღევანდელს, თუ კაცს პბტგბრსი,  
წინსვლა ადაბიანისა თუქ სიფცეად აბ მიანხისა  
ილია ჩაეჩავაძე*

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიღვომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს. ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ევროპის სოფლის მეურნეობის აკადემიების კავშირის წევრია

მიმდინარე წლის 17-19 სექტემბერს ქ. პრელაში (ჩეხეთის რესპუბლიკა) ჩატარდა ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების მე-8 გენერალური ასამბლეის სხდომა, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს ახალი წევრების: ინგლისის, პორტუგალიის, საქართველოს და სლოვაკეთის გაწევრიანების საკითხი. სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ამ ქვეყნების წარმომადგენლები. საქართველოს მხრიდან სიტყვით გამოვიდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, რომელმაც მოკლედ ილაპარაკა აკადემიის სტრუქტურასა და ძირითად მიმართულებებზე.

გენერალური ასამბლეის სხდომამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა შვედეთის სოფლის მეურნეობის და მეტყვეობის სამეფო აკადემიის პრეზიდენტი პროფ. კარენ ნიბლაური, ერთხმად დაამტკიცა ახალი წევრების, მათ შორის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის არჩევა.

გენერალური ასამბლეის სხდომაზე მონაწილეობდნენ: საფრანგეთის, ინგლისის, პორტუგალიის, შვედეთის, ნორვეგიის, რუმინეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, ლატვიის, ლიტვის და სხვათა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენლები.

გენერალური ასამბლეის შემდეგი მე-9 სხდომა გაიმართება 2016 წელს საფრანგეთში, მას უხელმძღვანელებს ჩეხეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რომელიც იმავდროულად არჩეული იქნა ევროპის სოფლის მეურნეობის აკადემიების კავშირის პრეზიდენტად პროფ. ვილერ პოდრაჟსტი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად საფრანგეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. ჟან-მარკ ბუსსარდი.

### სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

2014 წლის 5 აგვისტოს ჩატარდა სსმ აკადემიის საერთო კრება, რომელზეც აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გალექსიძემ შეაჯამა განვლილი 6 თვის მუშაობის შედეგები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმით აკადემიაში ჩატარებულია ღონისძიებები, როგორც აკადემიური საბჭოს მიერ, ისე სამეცნიერო განყოფილებების და აკადემიის დარგობრივი კოორდინატორების მიერ.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შესრულებულია შემდეგი სასამუშაოები:

2014 წლის 24 თებერვალს ჩატარდა წლიური კრება, რომელზეც მოსმენილი იქნა სსმ აკადემიის 2013 წლის ანგარიში (მომხს. აკად. გალექსიძე); კრებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი და მისი მოადგილეები.

სტამბური წესით დაბეჭდილია ანგარიში 365 გვერდის მოცულობით. პირველ კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 10 საკითხი.

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს (“შემოდგომა ზამთრის პერიოდში რძის დეფიციტის არსებობის გამო მცენარეული ცხიმების მოხმარებით გამოწვეული საფრთხეების შესახებ”, წარმოადგინა აკად. ზ.ცვიტიშვილმა).

2014 წლის 31 იანვარს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ანგარიშები 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

აკადემიური საბჭოს ინიციატივით I კვარტალში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

2014 წლის 6 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი თანამშრომლობით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე: “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი აგრარული სექტორის განვითარებაში” მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ.ფიფიაძე;

2014 წლის 18 მარტს სსმ აკადემიაში ჩატარდა შეხვედრა აკადემიის წევრებსა და სსმ აკადემიისა და სხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმის შემუშავებულ კომისიებთან;

2014 წლის 19 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა სემინარი “სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების პრობლემები” (წიგნის საკვები კულტურების აგროწესების პრეზენტაცია);

2014 წლის 21 მარტს სსმ აკადემიის სააქტო დარბაზში ჩატარდა აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრების შეხვედრა ეროვნულ კოორდინატორებთან. შეხვედრას უძღვებოდა სსმ

აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი აკად. გივი ჯაფარიძე, რომელმაც ფართოდ გააშუქა ეროვნული კოორდინატორების როლის მნიშვნელობა აგრარული დარგის და მისი მიმართულებების წარმატებით განვითარებაზე;

2014 წლის 26 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა სემინარი “მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლების გენეტიკური და სელექციური საფუძვლები”.

2014 წლის მეორე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 12 საკითხი:

2014 წლის 25 აპრილს მოსმენილი იქნა ინფორმაცია კანონპროექტის “სურსათად/ცხოველის საკვებად გამოყენებული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების” შესახებ. მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე;

2014 წლის 27 აპრილს მოსმენილი იქნა ინფორმაცია: სამეცნიერო თანამშრომლობა უკრაინულ მეცნიერებთან და IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შესახებ პოლოდსკის აგრარულ-ტექნიკური უნივერსიტეტი, უკრაინა. მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; სსმ აკადემიაში სამეცნიერო კონფერენციის “კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება” ჩატარების საორგანიზაციო საკითხების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე. სსმ აკადემიაში მეთოდური ლიტერატურის და რეკომენდაციების გამოცემის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე.

აკადემიური საბჭოს ინიციატივით II კვარტალში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

2014 წლის 04 აპრილს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომელიორაციის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფის სემინარი თემაზე: “დაჭაობებული ტერიტორიების ეკოსისტემის მდგრადი მართვა” (ეროვნული კოორდინატორი ირაკლი ყრუაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი).

სემინარი ჩატარდა შემდეგი ორგანიზაციების ეგიდით:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, საქართველო;

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;
- სომხეთის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი;
- არქიტექტურისა და მშენებლობის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი;
- იუნესკოს წყლის რესურსების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, დელფიტი, ნიდერლანდები;

2014 წლის 7 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: “სურსათის, ცხოველის საკვების უზრუნველყოფის, ვეტერინარიისა და მეცნარეთა დაცვის კოდექსის განხილვა”.

2014 წლის 15 აპრილს საპარლამენტო ფრაქციის “ქართული ოცნება მრეწველების” თბილისის ოფისში გაიმართა შეხვედრა, სადაც განიხილეს საქართველოს კანონის “სურსათად/ცხოველის საკვებად გამოყენებული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტების შესახებ” პროექტი; აღნიშნული კანონპროექტი გადაეცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას განსახილველად და დასკვნისათვის.

2014 წლის 25 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის მოხსენება: “სასოფლო-სამეურნეო კვლევების გლობალური ფორუმის და FAO-ს ტროპიკული ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო კვლევების სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის შესახებ (საფრანგეთი, მონაკელი)”.

2014 წლის 25 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თამაზ კუნჭულიას მოხსენება: “სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ახალი არჩევანი”.

2014 წლის 13 მაისს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელმაც განიხილა საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგია, რომელიც დამუშავებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე. ძირითადი მომხსენებელი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, რომელიც ხელმძღვანელობდა და უშუალოდ მონაწილეობდა სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაში.

2014 წლის 4 ივნისს აკადემიურმა საბჭომ მოისმინა სსმმ აკადემიის პრეზიდენტის ინფორმაცია, რომ იგი და სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი დავით მაღრაძე კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიწვევით 2014 წლის 26 მაისიდან 1 ივნისამდე იმყოფებოდნენ კორეის რესპუბლიკაში. აკად. გალექსიდის ვიზიტის ფარგლებში 2014 წლის 28 მაისს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და კორეის რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების ცენტრს შორის, რაც საქართველოს და კორეის რესპუბლიკის აგრარული მიმართულების მეცნიერების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების თანამშრომლობის წარმატებულ საწყის ეტაპად უნდა მივიჩნიოთ.

2014 წლის 4 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მოისმინა აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის მოხსენება: “მაღალი ტექნოლოგიების ათვისებაზე ორიენტირებული აგროსაინჟინრო დარგის პრიორიტეტები”.

2014 წლის 4 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მოისმინა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის როლანდ კოპალიანის მოხსენება: “აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის 2013 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშის შესახებ”.

2014 წლის 4 ივნისს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში ქ. თბილისის მერობის კანდიდატი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ნარმანია შეხვდა საქართველოს აგრარული დარგის მეცნიერებს. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები, აგრარული დარგის მეცნიერები და სპეციალისტები.

2014 წლის 21 ივნისს ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია “ელკანას” ოფისში, პროექტის – “საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნების შესახებ ელექტრონული კატალოგის მომზადება”, ჩატარდა შეხვედრები მრგვალი მაგიდის ფორმატში, რომელიც 2014 წლის 26 მაისიდან 1 ივნისამდე შეეხებოდა კატალოგის კომპონენტების განხილვას. აღსანიშნავია, რომ კატალოგის შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სსმმ აკადემიის თანამშრომლებმა; აღნიშნული აღონისძიება საინტერესო იყო იმიტომაც, რომ აკადემიასთან ჩამოყალიბებულია “ბიომრავალფეროვნების ცენტრი”, რომლის თავმჯდომარეა სსმმ აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

2014 წლის 27 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მოისმინა აკადემიკოს ჯუმბერ ონიანის მოხსენება: “ნიდაგებში წყლიერი

თვისებების სისტემათა რეგულირების შესახებ”.

2014 წლის 16 ივლისს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი ღია კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებს.

გაერთიანებულმა ღია კრებამ მიიღო სათანადო რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის პროდუქტებით საქართველოს მოსახლეობის კვების და სასურსათო პრობლემების გადაჭრის მიმართულებით, რომლებიც მიზანშეწონილია გაითვალისწინოს საქართველოს მთავრობამ, აგრარული დარგის მეცნიერებმა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ 2014 წლის პირველ ნახევარში მოამზადა:

1. რეკომენდაციების კრებული აგრარული დარგის მეცნიერების მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევების საფუძველზე.
2. რეკომენდაციები “მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისა და ნიადაგის დამუშავებისათვის საჭირო ოპტიმალური ტენიანობის პარამეტრების შესახებ”; ავტორი სსმმ აკადემიის აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი.
3. ნაშრომი “საკვები კულტურების აგროწესები” (ავტორი აკად. გ.ცაგურიშვილი, თანაავტორები: ქ. ინაური და ნ.ჟვანია).
4. რეკომენდაციის “შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერი) დამზადების

შესაძლებლობა, ტექნოლოგიები და ეკონომიკური ეფექტიანობა”; ავტორები – აკად. წ/კ გ.ნიკოლეიშვილი, აკად. წ/კ ე.შაფაქიძე, აკად. დოქტორები თ. დალაღიშვილი და ა.ჩაგაღიშვილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდებულია ნაშრომები:

- “ადამიანი და მწერები” ავტორი სსმმ აკადემიის აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.
- “მცენარეთა დაცვა”. ავტორი სსმმ აკადემიის აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.
- “მებაგრეშემოება შავი, კასპის, ზღვებისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების (BACSA) საერთო საზრუნავია”. ავტორები სსმმ აკადემიის წ/კ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ნიკოლეიშვილი და სსმმ აკადემიის წ/კ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ელგუჯა შაფაქიძე.
- “მევენახეობის ტექნოლოგია და სამუშაოთა მექანიზაცია”. ავტორი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ო.ბეღია.

ამრიგად 2014 წლის პირველ ნახევარში ჩატარდა სსმმ აკადემიის, აკადემიური საბჭოს 8. სხდომა, მრგვალი მაგიდა 4, სემინარი -4, აკადემიის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს 2 შეხვედრაში, რომლებშიც მონაწილეობდნენ პარლამენტის ფრაქცია “მრეწველები”, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

### სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 25 ივლისს მოისმინა სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, ევროპის რექტორთა კლუბის წევრის ვალერი სუხიშვილის მოხსენება „ სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ.“

აღინიშნა, რომ სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი დაფუძნებულია 1995 წლიდან შ.პ.ს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალად, ხოლო 2003 წლიდან დამოუკიდებელ შ.პ.ს სუხიშვილის უნივერსიტეტად.

უნივერსიტეტში სხვა სპეციალობებთან ერთად პრიორიტეტული იყო აგრარული მიმართულების დარგები, მაგრამ საქართველოში არასწორი პოლიტიკის გამო სოფლის მეურნეობის მიმართ, ვერ განხორციელდა ამ სფეროში საჭირო კადრების მომზადება, ძირითადი მიზეზი იყო დაუსაქმებლობის პერსპექტივა და ეკონომიკური გაჭირვების პირობები. მიზანმიმართულად სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისა და ინფრასტრუქტურის განადგურება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ჯართად ქცევა და თურქეთში კაპიკების ფასად გატანა.

ასეთ პირობებში ჩვენ შევძელით აგრარული მიმართულების სპეციალობის მცირე ჯგუფებით შენარჩუნება. ამასთან ერთად შევიწარმინეთ აგრარული მიმართულების სამეცნიერო კადრის დასაქმების პირობები. დღეისათვის უნივერსიტეტში მოღვაწეობს 132 პროფესორ-მასწავლებელი, მათ შორის 95 მეცნიერებათა დოქტორი, საიდანაც აგრარული მიმართულების დოქტორია 17. დაარსებიდან დღემდე უნივერსიტეტი დაამთავრა 1218 სტუდენტმა, რომელთა შორის აგრარული მიმართულებით სპეციალობის დიპლომი მიიღო მხოლოდ 56 სტუდენტმა.

ამჟამად უნივერსიტეტი ავტორიზებულია და ახორციელებს 12 საბაკალავრო აკრედიტირებულ პროგრამას და 5 სამაგისტრო პროგრამას. 2013-2014 სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტში აღნიშნულ სპეციალობებზე ირიცხებოდა 1145 სტუდენტი, რომელთა შორის აგრარულ

მიმართულებებზე ირიცხება მხოლოდ 46 სტუდენტი.

რაც მთავარია, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა მთლიანად აკმაყოფილებს ევროპულ და თანამედროვე მოთხოვნებს. უნივერსიტეტს საკუთრებაში აქვს სამი სასწავლო კორპუსი, მათ შორის ერთი ქ. თბილისში პოლიტკოვსკაის ქ. №9ა. სამივე კორპუსის სასწავლო ფართი 7755 მ<sup>2</sup> - ია, რომლებშიც მოწყობილია თანამედროვე მოთხოვნილების კაბინეტ-ლაბორატორიები, საკონფერენციო დარბაზები, ბიბლიოთეკა წიგნების მდიდარი ფონდით - აკმაყოფილებს ყველა საგნისა და სტუდენტის სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს, სპორტული დარბაზი, ყველა შესაფერისი ინვენტარით და მოწყობილობით. უნივერსიტეტის სამივე კორპუსი უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორებით, ინტერნეტით.

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ევროპული სტანდარტებით შედგენილი პროგრამებითა და სილაბუსებით, რომელმაც წარმატებით გაიარა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები. ამ პროგრამებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი, კვალიფიციური მეცნიერები. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აგრარულ-ეკონომიკური კვლევის ცენტრი, რომელშიც გაერთიანებული არიან ამ დარგის მეცნიერ-მუშაკები.

უნდა აღინიშნოს, რომ ქ. გორში არსებული ორი კორპუსი განთავსებულია 2 ჰა მიწის ფართობზე, აქედან აგრარული მიმართულების სტუდენტებისათვის მოწყობილია სასწავლო ნაკვეთი 0,35 ჰა-ზე, სადაც გაშენებულია 10 სხვადასხვა ვაზის ჯიშში, ამასთან ერთად ამავე ნაკვეთის 0,25 ჰა-ზე გაშენებულია სხვადასხვა საბაღე მცენარეები.

უნივერსიტეტში ერთ-ერთი მთავარი ყურადღება ექცევა სხვა უნივერსიტეტებთან მჭიდრო ურთიერთკავშირს, სტუდენტთა თვითმმართველობის საქმიანობას, რომელიც აქტიურად არის ჩაბმული საუნივერსიტეტო ღონისძიებებში.

უნივერსიტეტს სერიოზული ურთიერთობები აკავშირებს ევროპისა და სხვა დამეგობრებულ უნივერსიტეტებთან. 2009 წელს მიწვეული იყვნენ ოქსფორდში (ინგლისი) ევროპის რექტორთა სამიტზე, სადაც მათ მუშაობას და მიღწევებს მაღალი შეფასება მიეცა, რის შემდეგაც ინსტიტუტის რექტორი დააჯილდოვეს ევროპის ხარისხის ნიშნით და ლაურეატის მედლით, 2010 წელს კი მაღტაში ჩატარებულ ევროპის რექტორთა სამიტზე ამირჩიეს ევროპის რექტორთა კლუბის წევრად.

დადებული მემორანდუმების საფუძველზე უნივერსიტეტს მჭიდრო ურთიერთობები აქვს ტეხასის უნივერსიტეტის ერენის ფილიალთან, სადაც ამზადებენ აგრობიზნესის სპეციალისტებს. ჩვენი უნივერსიტეტის რამოდენიმე სტუდენტი პარალელურ რეჟიმში სწავლობს აგრობიზნესის სპეციალობაზე აღნიშნულ ფილიალში, რომლის დამთავრების შემდეგ ერთდროულად მიიღებენ სუხიშვილის უნივერსიტეტისა და ტეხასის უნივერსიტეტის შესაბამისი სპეციალობის დიპლომებს. ამავე დროს საქმიანი ურთიერთობები გვაქვს ხარკოვის, პოლტავის, კიშინიოვის ევროპული პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების უნივერსიტეტებთან, მოლდავეთის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტთან, რუმინეთის სიბიუს უნივერსიტეტთან, ბაქოს კოოპერაციულ უნივერსიტეტთან, ვარშავისა და ასტანის უნივერსიტეტებთან.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გვაკავშირებს თელავის, ქუთაისის, გორის უნივერსიტეტებთან, თბილისის ბოტანიკურ ბაღთან და ბოტანიკის

ინსტიტუტთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მუხე-უმებთან, შ.პ.ს „საქართველოს ნერგები“, სს „აგროტექ-სერვისთან“, ა.ი.პ „მეტყვეთა ასოციაცია“ - სთან, ა.შ.შ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) - თან, აგროტერმინალთან, ატენის ღვინის ქარხანასთან, სანერგე მეურნეობასთან, გორის საკონსერვო ქარხანასთან, ბანკებთან, სკოლებთან, ავთიაქებთან და მრავალი სხვა.

სუხიშვილის უნივერსიტეტთან ფუნქციონირებს სამედიცინო კლინიკა, სადაც სტუდენტები პრაქტიკასთან ერთად სარგებლობენ უფასო მომსახურებით, ამასთან ერთად უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტებს შორის სპორტისა და ხელოვნების განვითარებას, უნივერსიტეტთან შექმნილია სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „გორულა“, საუნივერსიტეტო სპორტულ შეჯიბრებებში სამი სტუდენტი გახდა საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობა ძიუდოში, ერთმა სტუდენტმა სათხილამურო სპორტში აიღო პირველი ადგილი.

მიუხედავად ასეთი მასშტაბური მუშაობისა და საუკეთესო პირობებისა, შექმნილი ვითარების გამო უჭირთ აგრარული კონტიგენტის შევსება და დაინტერესება ამ დარგის შესწავლის სურვილის დამკვიდრებაში. ამის მიზეზები არსებობს და მისი წარმატებების პერსპექტივებიც არსებობს, კერძოდ: სახელმწიფო, რომელიც აფინანსებს მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებს, წახალისების მიზნით უნდა დააფინანსოს კერძო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიც და ორივე მხარე ჩააყენოს თანაბარ პირობებში; დღეს სოფლის ახალგაზრდებს არა აქვთ ეკონომიური პირობები იმისა, რომ საკუთარი დაფინანსებით გააგრძელონ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში; სუხიშვილის უნივერსიტეტი ერთადერთი კერძო უმაღლეს სასწავლებლებს შორის, რომელიც ახორციელებს აგრარული სწავლების პროგრამებს და ამავე დროს გორის რეგიონი აგრარული ზონაა და საჭიროა მიექცეს ყურადღება ასეთ აგრარულ რეგიონებს; იმასთან დაკავშირებით, რომ აგრარულ უნივერსიტეტში მკვეთრად შემცირდა აგრარული მიმართულების სპეციალობები და კონტინგენტი, საჭიროა გორის რეგიონში ხელი შეეწყოს ადგილობრივი კადრების მომზადებას; იმის გამო, რომ აგრონომიული კადრებით ქვეყნის უზრუნველყოფა საფრთხის წინაშეა, საჭიროდ მიაჩნიათ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ სოფლის მეურნეობისა და განათლების სამინისტროებთან ერთად შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებები, სადაც ყურადღება მიექცევა რეგიონების მიხედვით აგრარული კადრების მომზადებას და მათ დამაგრებას ადგილებზე; უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მზადაა მაქსიმალურად შეამციროს სწავლის გადასახადი ამ სპეციალობებზე, რათა მოიზიდონ ახალგაზრდობა ამ დარგის სპეციალობის დასაუფლებლად.

სუხიშვილის უნივერსიტეტის ადმინისტრაციას გათვალისწინებული აქვს აგრონომიულ სპეციალობაზე ახალგაზრდობის მოზიდვის მიზნით დააწესოს სტიპენდიები, სოციალურად დაუცველების სწავლის გადასახადი დაფაროს ნაწილობრივ, განსაკუთრებით ნიჭიერ და დაინტერესებულ პირებს შეუქმნას სხვა დამატებითი დახმარების საშუალებები და სხვა.

მათი აზრით საქართველოში შეუძლებელია მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარება აგრარული რეგორების გატარების გარეშე, რომლის მიერ წარმოებული ნედლეული ხელს შეუწყობს აღნიშნული მრეწველობისა და ეკონომიკის აღმავლობას.

### ზოონოზური დაავადებების გავრცელების მდგომარეობა საქართველოში და მასთან ბრძოლის მეცნიერული სიახლეების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 26 სექტემბერს მოისმინა აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის მოხსენება "ზოონოზური დაავადებების გავრცელების მდგომარეობა საქართველოში და მასთან ბრძოლის მეცნიერული სიახლეების შესახებ".

აღინიშნა, რომ ქვეყანაში ხშირია გადაამდები დაავადებები, რომელიც ცხოველიდან ადამიანზე გადადის (ზოონოზები).

ასეთი დაავადებები იყო და დღესაც რჩება ვეტერინარული მედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად. ამ ჯგუფის დაავადებებს მოაქვს დიდი ეკონომიური ზარალიც. ხშირად დიდი სიკვდილიანობა, მცირდება პროდუქტიულობა და წონამატი. ადგილი აქვს აბორტებს და მოზარდის სიკვდილიანობას.

მატერიალურ ზარალს ზრდის აგრეთვე დაავადებების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები.

ზოონოზების გაჩენით ხელი ეშლება სამეურნეო საქმიანობას, სანაშენე საქმეს, ცხოველებით და ცხოველური სურსათით ვაჭრობას. საკარანტინო ღონისძიებები კი ზღუდავს ტრანსპორტის გადაადგილებას ქვეყნის შიგნით და გარეთ.

ზოონოზური დაავადებები მრავალია (როგორც ინფექციური, ასევე პარაზიტული), მათგან შეეჩერდებით მხოლოდ ისეთ დაავადებებზე, რომლებიც შედარებით ხშირია და მეტად საშიშია ადამიანებისათვის. ეს დაავადებებია: ჯილეხი, ცოფი, ბრუცელოზი და ტუბერკულოზი.

ჯილეხის 2000-ზე მეტი ცნობილი კერაა საქართველოში. დაავადება ყოველწლიურად ვლინდება როგორც ცხოველებში, ასევე ადამიანებში. ადამიანების დაავადება ხდება დაავადებულ ცხოველებთან და დაკვლის პროდუქტებთან კონტაქტით. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანის დაავადება ცხოველებთან არ არის დაკავშირებული. მაგალითად, გაჩიანში დაავადდა ქალბატონი, რომელიც სტაფილოს იღებდა, წყალტუბოს 8 მოქალაქე დაავადდა ქუთაისის ავტოპარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე ნიადაგიდან ჯართის ამოღების დროს. ამ რამდენიმე წლის წინათ შესამჩნევად მოიმატა ჯილეხის შემთხვევებმა მცხეთა-მთიანეთში, სადაც ზედიზედ რამდენიმე შემთხვევა იყო დაფიქსირებული ადამიანთა დაავადებისა.

გამორკვა, რომ ინფექციის კერა იყო ნიადაგი, რომელიც იმ წელს ძლიერი წვიმების შედეგად იქნა გადარეცხილი. როგორც ჩანს, წლების წინ ეს ადგილი იყო დაინფიცირებული და გახდა წყარო ცხოველთა და ადამიანთა დაავადებებისა. დღეს არავინ იცის მსგავსი კერა კიდევ სად აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევაში მარტო ცხოველების ვაქცინაცია ბოლომდე ვერ დაიცავს ადამიანებს დაავადებებისგან. აქ საჭიროა კომპლექსური მიდგომა, პირველ რიგში, კონტროლი

მიწის ყველა სამუშაოს წარმოებაზე, ყველა კატასტროფის კერაზე, სადაც სასწრაფოდ უნდა აიკრას ამთვისებული ცხოველები და საერთოდ გასაკეთებელია მეცნიერული ანალიზი და დასკვნა 2-3 ათეული წლის მანძილზე ჯილეხის გავრცელებაზე და საწინააღმდეგო ღონისძიებების უფექტურობაზე.

რომ შემთხვევების ის რაოდენობა, რაც ადამიანებსა და ცხოველებშია დაფიქსირებული, მოითხოვს მეტ ყურადღებას. მდგომარეობა საგანგაშოა, ყურადღების მოდუნება არ შეიძლება და, ალბათ, დიდი ძალისხმევა გემართებს მდგომარეობის სტაბილურობამდე. უნდა გაიზარდოს ვაქცინირებული ცხოველების რაოდენობა, არ უნდა დარჩეს არცერთი აუცრელი ცხოველი. აცრები ბიუჯეტის ხარჯზე ტარდება. განსაკუთრებით უნდა გააქტიურდეს მუშაობა იმ რეგიონებში, სადაც შედარებით ხშირი შემთხვევებია ჯილეხის როგორც ადამიანებში, ასევე ცხოველებში.

ცოფიც პრობლემურია ქვეყნისათვის, რასაც განაპირობებს მაწანწალა (უპატრონო) ძაღლების და გარეული ცხოველების (მგელი, ტურა, მელა) დიდი რაოდენობა. საკითხი მაწანწალა ძაღლებზე ბევრჯერ იქნა დასმული, თითქოს არის უპატრონო ცხოველთა თავშესაფარიც, მაგრამ პრობლემა მაინც პრობლემად რჩება.

ხშირია შემთხვევა მსხვილფეხა პირუტყვის ცოფით დაავადებისა, რაც გამოწვეული იყო გარეული ცხოველების, კერძოდ, მგლების, მელიების და ტურების მიერ ცხოველთა დაკბენის შედეგად ტყისპირა საძოვრებზე.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ორალურ ვაქცინაციას, რომლის პრაქტიკული გამოცდილება საქართველოში არსებობს.

უცხოური ორგანიზაციების მხარდაჭერით იგეგმება საქართველოში ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება და მათ შორის ორალური ვაქცინაცია.

საქართველო უნდა დაიყოს 3 ზონად. პირველი ზონა, სადაც ხშირია გარეული ცხოველების მიერ შინაური ცხოველების დაკბენა და ცოფი ლაბორატორიულად დადგენილია; მეორე ზონა, სადაც ერთეული შემთხვევებია დაფიქსირებული; მესამე ზონა ფაქტიურად კეთილსაიმედოა.

ორალური ვაქცინაცია, პირველ რიგში, უნდა ჩატარდეს პირველ ზონაში. მეორე ვაქცინაციამ უნდა მოიცვას პირველი და მეორე ზონა. მესამე ვაქცინაცია უნდა ჩატარდეს მთლიანად საქართველოში. პირველ ზონაში ცხოველები აიცრება 3-ჯერ, თანაც მისატყუარების (ვაქცინების) განლაგება ამ ზონაში უნდა იყოს

მჭიდრო, მეორეში – ორჯერ, მესამე ზონაში კი – ერთხელ.

აღნიშნული სქემით ცხოველების ვაქცინაცია უფრო ეკონომიური და ეფექტური იქნება, ვიდრე ორჯერ ჩატარებული ვაქცინაცია საქართველოს მოელ ტერიტორიაზე.

ორალური ვაქცინების განლაგებას ახდენენ ორი გზით – ხელით და ავიაციის გამოყენებით. ავიაციის გამოყენება საქართველოს რიგ რეგიონებში შეზღუდული იქნება, აქედან გამომდინარე, ვეტერინარიის სამსახურმა ზუსტად უნდა იცოდეს გარეული ცხოველების რაოდენობა, მათი გამრავლების არეალი და სეზონის მიხედვით გადაადგილების გზები. აღნიშნულზე წერილი გაეგზავნა გარემოს დაცვის სამინისტროს, მაგრამ მიღებული პასუხი ვერ ასახავს რეალურ სურათს.

რაც შეეხება უპატრონო (მაწანწალა) ძაღლებს (რომლებიც ძირითადად ავრცელებენ ცოფს), მიდგომა განსხვავებულია, მსხვილ ქალაქებში იქმნება ცხოველთა თავშესაფრები (თბილისში ასეთი 5–6-ია), რომელთაც აფინანსებენ ცხოველთა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები. თავშესაფრებში ხდება ცხოველთა ქირურგიული სტერილიზაცია, აცრა ცოფის საწინააღმდეგოდ, დანომვრა და გაშვება. ეს პროცესი ძვირადღირებულია და შრომატევადი, არ არის შესაძლებლობა მისი სოფლად ჩატარებისა, სადაც უფრო მეტი ალბათობაა ძაღლების ცოფით დაავადებისა (კონტაქტი გარეულ ცხოველებთან). ქირურგიული სტერილიზაცია მოითხოვს ოპერატორების გარკვეულ კვალიფიკაციას და იარაღების და საშუალებების დიდ რაოდენობას. ამ პროცესს ხელს უშლის ისიც, რომ ანესთეზიის და გაუტკივარების საშუალებების გაცემა ვეტერინარიის მიზნით ძალიან შეზღუდულია.

მეცნიერების წინადადებაა ფართოდ დაინერგოს ცხოველთა ქიმიური და სხვა ადვილად ჩასატარებელი მეთოდებით სტერილიზაცია. ჩვენ მზად ვართ გავწიოთ ეს სამსახური, შედგენილია პროექტი, რომელიც მოითხოვს განხილვას და დაფინანსებას.

ცოფით ქვეყანაში მრავალი ადამიანი კვდება. ბევრია დაკბენები, რომელიც სათანადო სწრაფ რეაგირებას მოითხოვს ვეტერინარიისა და მედიცინის სამსახურებისაგან.

ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცხოველთა ვაქცინაცია მოითხოვს კონტროლს, რადგან ვაქცინაციის შემდეგ იმუნიტეტის გამომწვევა არაერთნაირია და ცხოველი ყოველთვის დაცული არ არის.

მზად არის პროექტი ცხოველების პოსტვაქცინალურ კონტროლზე, რაც მეტად საჭირო და აუცილებელი საკითხია, რადგან საქმე ეხება ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას ისეთი დაავადებისაგან, როგორც ცოფია. სამწუხაროდ ეს პროექტი რუსთაველის ფონდმა არ დააფინანსა.

საგანგაშო მდგომარეობაა ტუბერკულოზის შესწავლის მხრივაც. ქვეყანაში არ ტარდება დაავადების გეგმიური დიაგნოსტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ცხოველთა სასაკლაოებზე ვლინდება ტუბერკულოზის გენერალიზირებული ფორმები, რაც მიუთითებს ამ დაავადების ფართო

გავრცელებაზე. ვეტერინარიის დეპარტამენტის ინფორმაციით დაგეგმილია გარკვეული გამოკვლევები ტუბერკულოზზე. ტუბერკულოზთან ბრძოლა ითვალისწინებს ცხოველთა ალერგიული მეთოდით გამოკვლევის და დაავადებული ცხოველების დაკვლის და სორცის ორგანოლეპტიკური შეფასების შემდეგ თერმულ გადაამუშავებას. ამ ღონისძიების გატარება შეუძლებელია კომპენსაციის გარეშე. ალბათ ესაა ძირითადი ხელის შემშლელი ამ პრობლემის გადაჭრაში.

არასრულია ცხოველთა გამოკვლევები ბრუცელოზზე, მიუხედავად ამისა, არსებული მონაცემები მიუთითებენ ამ დაავადების ფართოდ გავრცელებაზე.

ბრუცელოზი საქართველოში პირველად დიაგნოსტირებული იქნა გასული საუკუნის 20-იან წლებში ლინდროპის და საყვარელიძის მიერ.

გასული საუკუნის 70-იან წლებში გააქტიურდა ბრუცელოზთან ბრძოლის ღონისძიებები. გეგმიურად ხდებოდა ცხოველთა გამოკვლევა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში. დაავადებული ცხოველები იკვებებოდა სანიტარულ სასაკლაოებზე, ფერმებში კი ტარდებოდა მეცნიერულად დასაბუთებული გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. შედეგად არ დააყოვნა; თანდათან მცირდებოდა ბრუცელოზზე არაკეთილსაიმედო მეურნეობათა რიცხვი.

საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა მეცხოველეობის ფერმების პრივატიზაცია, მათ შორის პრივატიზებული იქნა ბრუცელოზზე არაკეთილსაიმედო მეურნეობები თავის პირუტყვთან ერთად, რაც ხელშემწყობი პირობა აღმოჩნდა დაავადების ფართოდ გავრცელებისა. შესუსტდა კონტროლიც, არ ხდებოდა ცხოველთა გეგმიური გამოკვლევა. გამოკვლევა გახდა ფასიანი, ამჟამად ერთი სულის გამოკვლევა ღირს 5 ლარი. ამას ემატება სისხლის აღების და ტრანსპორტირების ხარჯები. შედეგად იშვიათი გახდა ცხოველთა ბრუცელოზზე გამოკვლევა, მას ატარებდა მხოლოდ მოსახლეობის ერთეული წარმომადგენლები, რომლებსაც შეგნებული ჰქონდათ ბრუცელოზის საშიშროება.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ქვეყნის რიგ რეგიონებში, როგორცაა: კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი. ნაკლები ცნობებია სხვა რეგიონებიდან, მაგრამ არც ამ რეგიონებშია მდგომარეობა სტაბილური.

ამჟამად ქვეყანაში აღრიცხულია 1,3 მილიონზე მეტი მსხვილფეხა და 900000 – წვილფეხა პირუტყვი. ამ სულადობის 70%-ზე მეტი თავმოყრილია იმ რეგიონებსა და რაიონებში, სადაც ადგილი აქვს ბრუცელოზით ცხოველების დაავადებას. ბრუცელოზის ეპიზოტოიურ სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ეს რაიონები ეწევიან მომთაბარეობას და ცხოველების კონტაქტი ხშირია, დაბინძურებულია გადასარეკი ტრასები და მიმდებარე საძოვრები, რაც ზრდის დაავადებულ ცხოველთა რიცხვს. არსებული სიტუაცია მომავალში გაართულებს ბრუცე-



ლოზთან ბრძოლას.

სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს ბრუცელოზის დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის, სალიკვიდაციო, ვექტერინარულ-სანიტარიული და ორგანიზაციულ-სამეურნეო ხასიათის სამუშაოები. უნდა მოხდეს გარემო არის სანაცია, რაც ხელს შეუშლის დაავადების აღმკვერელის თავისუფალ ცირკულაციას გარემოში.

უცხოური ორგანიზაციების რეკომენდაციები ეყრდნობა მოზარდი პირუტყვის ვაქცინაციას, ეპიზოოტიური სიტუაციის შესწავლის გარეშე. ჩვენი აზრით, ეს არასწორი მიდგომაა, რადგან მხოლოდ ვაქცინაცია შედეგს ვერ მოგვცემს. ცხოველების გამოკვლევას ერიდებიან, რადგან დაავადებულ ცხოველზე უნდა გაიცეს კომპენსაცია, რომლის ხარჯები ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის.

რუსთაველის ფონდში წარმოდგენილია ორი პროექტი, რომელთა განხორციელება აადვილებს ბრუცელოზთან ბრძოლის ღონისძიებების ჩატარებას. პროექტის შესაბამისად ვექტერინარული სამსახური ყოველდღიურად მიიღებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ცხოველთა დაავადების შესახებ ინფორმაციას. იქვე შეიძლება მასალის აღება ლაბორატორიული კვლევისათვის და ბრუცელოზის ტიპის დასადგენად, რაც მეტად მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ამ პროექტის მთავარი ღირსებაა ის, რომ შემუშავებულია კომპენსაციის გაცემის მექანიზმი ბიუჯეტის გვერდის ავლით.

ბრუცელოზთან ბრძოლის საქმეში მეტად მნიშვნელოვანია ბრუცელოზის აღმკვერელის ტიპების დადგენა და მათი გაგვრცელება მდრღნელებში, გარეულ ცხოველებში, არა სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში, ტკიპებში და მწერებში და სხვა. არის მზადყოფნა, რომ ეს სამუშაოები ჩატარდეს, მაგრამ ჯერ არ არის დაფინანსება.

ჩამოთვლილი დაავადებები ჩნდება იქ, სადაც დაცული არ არის სისუფთავე, ანუ ვექტერინარულ-სანიტარიული პირობები და დაბალია ცხოველთა მოვლა-შენახვის და კვების დონე. ერთად უნდა ვიზრუნოთ ცხოველთა კეთილდღეობაზე და ჯანმრთელობაზე.

მიზანშეწონილია, რომ არსებული ეპიზოოტიური სიტუაციიდან გამომდინარე ჩამოყალიბდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერთა ჯგუფი, რომლებიც სურსათის სააგენტოს შესაბამის სტრუქტურებთან ერთად შეიმუშავებს ჯილხის, ცოფის, ბრუცელოზის, ტუბერკულოზის და სხვა ზოონოზური დაავადებების საწინააღმდეგო კომპლექსურ ღონისძიებათა ეროვნულ პროგრამებს, რომელიც დაფუძნებული იქნება დღევანდელ საერთაშორისო მიღწევებსა და გამოცდილებაზე. მოსახლეობის მეტი ინფორმირების მიზნით ჩატარდეს სემინარები და მომზადდეს სამეცნიერო სტატიები.

**ბულგარეთის ქალაქ ვარნაში  
ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური  
კონფერენციის შესახებ**

2014 წლის 19-20 ივნისს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში ჩატარდა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია თემაზე „მანქანები სოფლის მეურნეობაში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე.

კონფერენციის თემატიკა მრავალფეროვანი იყო. ეხებოდა ტექნიკურ პროგრესს სოფლის მეურნეობაში და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლებას. წარმოდგენილი სამეცნიერო მოხსენებები დაყოფილი იყო ორ სექციად: 1. მანქანები სოფლის მეურნეობაში, გამოკვლევა და გამოცდა. ახალი ტექნოლოგიები; 2. მანქანების გამოყენება, სერვისი, ეკოლოგია.

სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის 80-ზე მეტი მეცნიერი გერმანიიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, ჩეხეთიდან, სლოვაკეთიდან, თურქეთიდან, ყაზახეთიდან და ასევე ირანიდან.

სამეცნიერო კონფერენციის პლენარული სხდომა გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარემ პროფესორმა მიხო მიხოვმა. ის გულთბილად მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს და ხაზი გაუსვა იმ

გარემოებას, რომ ასეთი სამეცნიერო ფორუმები ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა დაახლოებას, მათ ინტეგრაციას, გამოცდილებათა გაზიარებასა და რაც მთავარია ახალგაზრდა მეცნიერების წარმოჩენას. კონფერენციას მიესალმნენ: მიროსლავ ნაიდენოვი - ბულგარეთის მიწათმოქმედებისა და კვების მინისტრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი პოპოვი-ბულგარეთის სამეცნიერო-ტექნიკური კავშირის თავჯდომარე; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანჟეი ჩიჟევსკი-პოლონეთის ინჟინერ-მექანიკოსთა კავშირის პრეზიდენტი; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქრისტო ბელოევი-ქალაქ რუსეს ანგელ კინჩევის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მნიშვნელოვანი სამეცნიერო მოხსენებები, რომლებიც გამოირჩეოდნენ პრობლემის აქტუალურობით და კვლევის ორიგინალურობით.



საქართველოს  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული  
სტრატეგიის განხილვა

2014 წლის 11 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ განიხილა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში მომზადებული “საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2014-2020 წლებისათვის”.

სტრატეგიის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სსმმ აკადემიის აკადემიკოსებმა გალექსიძემ, გ. ჯაფარიძემ, ნ. ქარქაშიაძემ, ნ. ჭითანავამ, ო. ქეშელაშვილმა, გ. მარგველაშვილმა, ნ. ჩხარტიშვილმა, ნ. ბაღათურიამ, ვ. ცანავამ, რ. მახარობლიძემ, ზ. ცქიტიშვილმა, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ე. შაფაქიძემ და ო. ბედიამ.

განხილვაზე აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შედგენილი სტრატეგიის დოკუმენტის მიზანი და ამოცანები შეესაბამება სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელ სიტუაციას და მისი განხორციელება ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას, სურსათის უვნებლობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ წინსვლას, მრავალი აქტუალური საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრებები, წინადადებები, შენიშვნები და სურვილები, რომლებიც განხილვისათვის გადაეცემათ სამინისტროს და სტრატეგიის შემმუშავებელ ჯგუფს.

აღინიშნა აგრეთვე, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების მიერ დამუშავებულია სტრატეგიული ნაშრომი “საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები და გადაწყვეტის მიმართულებები” (ხელმძღვანელი აკად. ნ. ჭითანავა). მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში სტრატეგიის დამუშავებაში მონაწილე ავტორების ჯგუფი გაცნობოდა აკადემიაში დამუშავებულ აღნიშნულ ნაშრომს, რაც სასიკეთოდ წაადგებოდა მნიშვნელოვან დოკუმენტს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და აღმავლობის განხორციელების საქმეში.

ერთობლივი ღია კრება

2014 წლის 16 ივლისს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი ღია კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებს.

დამსწრე საზოგადოებას შესავალი სიტყვით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გიორგი კვეციტაძემ.

აღნიშნული თემის ირგვლივ ძირითადი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.

ღია კრების თემასთან დაკავშირებით საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვეციტაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალგაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

აკადემიკოსები პეტრე ნასყიდაშვილი, რევაზ მახარობლიძე, ნუგზარ ბაღათურია და გურამ პაპუნძიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები რამაზ ხუროძე, ლეო ჩიქავა და ქეთევან ნემსაძე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი ლაშა გოცირიძე, პროფესორები გელა ღლიღვაშვილი და გიორგი გოცირიძე.

გაერთიანებულმა ღია კრებამ მიიღო სათანადო რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის პროდუქტებით საქართველოს მოსახლეობის კვების და სასურსათო პრობლემების გადაჭრის მიმართულებით, რომლებიც მიზანშეწონილია გაითვალისწინოს საქართველოს მთავრობამ, აგრარული დარგის მეცნიერებმა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა.

### საერთაშორისო თათბირი

მიმდინარე წლის 27-29 აგვისტოს ქვერგანაში (უზბეკეთი) ჩატარდა **სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების შუა აზიისა და სამხრეთ საქართველოს სამეთვალყურეო საბჭოს მე-16 სხდომა**, რომლის მუშაობაშიც საქართველოდან მონაწილეობა მიიღეს სსმმ აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილემ, აკადემიკოსმა ავთანდილ კორახაშვილმა.

სხდომაში მონაწილეობდა ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, სომხეთის და აზერბაიჯანის სამინისტროებისა და კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების: იკარდას, სიმიტის, აციროს, ბიოვერსიტის, სიპის, იემის, მსოფლიო ბანკის, იფარის, ევროპის განვითარების ბანკის და სხვათა წარმომადგენლები. საქართველოდან მოხსენებით გამოვიდა აკად. გურამ ალექსიძე, რომელმაც ილაპარაკა პრიორიტეტულ მიმართულებებზე - სასურსათო უზრუნველყოფა, კლიმატის ცვლილება, აგრობიომრავალფეროვნება და მცენარეთა გენეტიკურ რესურსებზე. გადაწყდა, რომ მომდევნო, მე-17 შეხვედრა 2015 წელს გაიმართება ქ. ბაქოში (აზერბაიჯანი).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მიმორანდუმის შესახებ

### საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მიმორანდუმის შესახებ

2014 წლის 1 სექტემბერს ხელი მოეწერა მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს შორის.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს **სსმმ აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ და უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ვლადიმერ სუხიშვილმა.**

სსმმ აკადემიასა და შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა დაეფუძნება მეცნიერების და განათლების სფეროში ურთიერთ საინტერესო ღონისძიებებს. აღნიშნული თანამშრომლობა განხორციელდება საერთო ინტერესებისა და თანაბარი ურთიერთობის საფუძველზე.

სსმმ აკადემიამ და უნივერსიტეტმა შეთანხმების საფუძველზე ხელი უნდა შეუწყონ ურთიერთდახმარებას აგრარული სფეროს აქტუალური პრობლემების საკითხების გადაწყვეტაში, სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, ტრენინგების და კონფერენციების ჩატარებას ახალგაზრდა მეცნიერების, დოქტორანტების და მაგისტრების მონაწილეობით;

თანამშრომლობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს გამოცდილების გაზიარება აგრარული მიმართულებების თანამედროვე მეთოდების, სამეცნიერო მიღწევებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების სფეროში; თანამშრომლობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს ერთობლივი სამეცნიერო სიმპოზიუმების, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება თბილისსა და გორში; განსაზღვრულია მხარეების ერთობლივი მონაწილეობა აგრარული მიმართულების პროექტებსა და პროგრამებში; ხელი უნდა შეეწყოს მეცნიერთა, პროფესორ-მასწავლებელთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზღვარგარეთის მოწინავე სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში მივლინებას.

თანამშრომლობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს აგრარულ სფეროში აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისათვის ერთობლივი შემოქმედებით ჯგუფების ჩამოყალიბება და მათი მუშაობის ორგანიზება.

ორივე მხარე ვალდებულია იღებს ხელი შეუწყონ აგრარულ სფეროში პროექტებისა და პროგრამების რეკლამირებას და შექმდომში მათი დანერგვის საკითხების მიმდინარეობას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მიმორანდუმს ხელს აწერენ სსმმ აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე და უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ვლადიმერ სუხიშვილი



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მიმორანდუმს ხელს აწერენ სსმმ აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე და უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ვლადიმერ სუხიშვილი



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმზე ხელის მოწერის პროცედურის შემდეგ

**ხალხთა მეგობრობის ფესტივალი**

2014 წლის 6 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ და სსმმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ელგუჯა შაფაქიძემ მონაწილეობა მიიღეს სანხერის რაიონის სასახლვრო სოფელ პერევეში ჩატარებულ ხალხთა მეგობრობის ფესტივალში, რომლის ორგანიზატორები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაცია “ასოციაცია ტურიზმი მშვიდობისა და განვითარებისათვის”, “ასოციაცია მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია”, ქართულ-აფხაზურ-ოსური კოალიცია “ნდობა” და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. ფესტივალის ძირითადი მიზანი იყო კულტურათა დიალოგის ხელშეწყობა და ნაციონალური სამხარეულოს პოპულარიზაცია, რომელიც ხალხთა შორის მუდმივი დიალოგის საგანია.

ფესტივალის სტუმრები და მონაწილეები იყ-

ვნენ ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების, საქართველოში აკრედიტებული საელჩოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნეს სექტორის, განათლებისა და კულტურის სფეროების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე სხვა გამომსვლელებთან ერთად სიტყვით გამოვიდა აკად. გურამ ალექსიძე, რომელმაც ხაზი გაუსვა მიმდინარე ღონისძიების მნიშვნელობას, აღნიშნა ფესტივალის ორგანიზატორების წვლილი და წამოაყენა წინადადება, რათა მსგავსი შეხვედრები გაიმართოს ქართველ, აფხაზ, ოს და სხვა ეროვნების მეცნიერთა შორისაც, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ამ ეროვნებებს შორის ნდობის ფაქტორს, რომელიც შემდგომი სამშვიდობო მოლაპარაკებების საფუძველი და სახალხო დიპლომატიის ძირითადი შემადგენელი ნაწილი იქნება.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და პოზნანის (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის თანამშრომლობის შესახებ.**

2014 წლის 12 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა შეხვედრა აკადემიის თანამშრომლებსა და პოზნანის (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის დელეგაციას შორის.

პოზნანის უნივერსიტეტიდან შეხვედრას ესწრებოდნენ პროფესორი იან პიკული - პოზნანის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის პრორექტორი მეცნიერებისა და უცხოეთთან თანამშრომლობის საკითხებში, პროფესორი რომან გორდლოვინი სატყეო ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი გუგოუ რონკა სატყეო ფაკულტეტის დეკანის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობების საკითხებში, უნივერსიტეტის მაგისტრი ლევან ჩოფლიანი.

სსმმ აკადემიის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ აკად. გურამ ალექსიძე სსმმ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. ნაპოლეონ ქარქაშიძე აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკად. პეტრე ნასყიდაშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე სსმმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში, პროფ. გია გაგოშიძე სსმმ აკადემიის სატყეო მიმართულების კოორდინატორი.

შეხვედრაზე ხელი მოეწერა მემორანდუმს თანამ-

შრომლობის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და პოზნანის (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს სსმმ აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ და პოზნანის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის პრორექტორმა მეცნიერებისა და უცხოეთთან თანამშრომლობის საკითხებში პროფ. იან პიკულიმ.

სსმმ აკადემიამ და პოზნანის უნივერსიტეტმა შეთანხმების საფუძველზე ხელი უნდა შეუწყონ ურთიერთდახმარებას აგრარული სფეროს აქტუალური პრობლემების საკითხების გადაწყვეტაში, სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, ტრეინინგების და კონფერენციების ჩატარებას ახალგაზრდა მეცნიერების, დოქტორანტების და მაგისტრების მონაწილეობით;

თანამშრომლობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს აგრარულ სფეროში აქტუალური პროექტების გადაწყვეტისათვის ერთობლივი შემოქმედებით ჯგუფების ჩამოყალიბება და მათი მუშაობის ორგანიზება.



პოზნანის (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის დელეგაცია სსმ აკადემიაში



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და პოზნანის (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმზე ხელს აწერენ აკად. გ. ალექსიძე და პროფ. ი. პიკული

მესამე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 7 საკითხი. განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს ("ზოლონოზური დაავადებების გავრცელების მდგომარეობა საქართველოში და მასთან ბრძოლის მეცნიერული სიახლეების შესახებ").

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი - სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის დოქტორი გივი მოსაშვილი

"აკადემიის მაცნე" - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" დამატება. "News of Academy" - addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.